

ნიკნოე

17
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაბ. გ. მალაზონიანი



— ეს შენი ბიჭი სულ ასე ჭუჩავი, ერთი ადგილას უნდა იდგას უსაქმურად?

— დედა ენაცვალოს! მალე მანქანას ვუყიდით და, აბა, მერე ნახეთ ერთი ადგილას გაჩერებული!



— დავიჯარო, ახლა, ამათ ჩამზე უფრო სჭირდებათ დასვენება?! —

ესეუ შენი ყარამანოვიჩი!..

იუმორასკა

— ესეუ შენი ყარამანოვიჩი, პატიოსნებაზე რომ დებდა თავს! ხომ მოაყუჩეს?!

— რას ამბობ, კაცო?! მაგისტანა პატიოსანი კაცი მეორე არ მეგულება ჩვენთან!

— შენ ნუ გეგულება და მე ჩემი თვალთ ვნახე, როგორ შეტენეს მილიციის მანქანაში!

— როდის, კაცო?!

— როდის და, გუშინ, სამუშაოს შემდეგ! მე რომ სამსახურიდან გავდიოდი, გაჩერებასთან იდგა. უცებ, ზედ ცხვირწინ, მილიციის მანქანა გაუჩერეს, ორი მილიციელი გადმოხტა, ჩააგლო ხელი შენს პატიოსან, უმნიშვნელო ყარამანოვიჩს და სულ კინწისკვრით შეაგდეს მანქანაში!..

— მაინც როგორ ინილბება ზოგი! ანგელოზი გეგონებოდა კაცი, ნყნარი, თავაზიანი, კაცთმოყვარე!..

— რას გეტყვი, იცი?! არავინ აღარ არის სანდო!

— ე, ბიჭო, ყარამანოვიჩი მობრძანდება!

— ალბათ, თავდებით თუ გამოუშვეს! შეხედე, რა დაბოლმელია! ეტყობა, მაგრად შეაჯანჯლარეს!

— ჰკითხე ერთი, რატომ დაიჭირეს!

— ყარამანოვიჩი, რას გერჩოდნენ გუშინ ის მილიციელები?!

— ჰოო!.. ისინი?! ჩემი სკოლის მეგობრები არიან! ათი წელია, არ შევხვედრივართ ერთმანეთს და ვერ დავიძვრინე თავი... კაი მაგრად კი ვიქეიფეთ!..

ნიკოლოზ იოსებიაძე

მტკიცედ უნდა გვინახავდეს, რომ ნარკომანიის ყველა ფორმა ხელს უწყობს მრავალი სახის ბორცტმრედეტებს, რათა ავადმყოფმა დაიკმაყოფილოს თავისი ავადმყოფური მოთხოვნილება!.. ამიტომაც მოითხოვს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებრივი აზრის გაძლიერებასა და განმტკიცებას!

ახალი

ძილისპირული

სიმონ, წელში არ გადატუდე! —
ხო აზრზე ხარ?! — ქინძი ხარ!
ასწორებ და თვალს ავახელ, —
ზედ წამწამზე მიზიხარ!..

რა უუფუნა თვალები გაქვს,
რა ფერმკრთალი ღაწვები?!
ალარც სიყვარული გინდა,
ალარც ჭიხვის უანწები!..

ქეიფიდან კაეფამდე
ნაწი ფრთებით წასულო,
ქვეყნის ნაწი მატრახაწო,
მოფარფატე ავსულო!

ჭვარს არ უუვარს გამოჩენა! —
ან შენ რა ჭვარს ღირსი ხარ?!
და თუ რამეს რისხვა ჰქვია,
ამას ჰქვია ღვთის რისხვა!

როცა ერის მტერს ვერა მტრობ, —
თავად ერის მტერი ხარ!
შენ კი ისე გაპარულხარ,
ალარც გენმის ჩემი ხმა!

აქეთ კომშის მურაბა გაქვს,
იქით კიდე — „მალინა“!
პაწაწინა მორფინისტო,
მსურს, გიმღერო ნანინა!

ნეტა, ერთად შეგყარონ და
ხეობაში ჩახელიწონ!..
ანდა, ისე დაგადინონ,
ველარ გამოგაღვიძონ!..



ბოტკინის

დროშით

პატარა ბაცაცუნებო,
პატარა ნარკომანებო,
არაკაც-არაკაცუნებო,
უვითელი სექტის „მანებო“, —

ცვედნებო, თითლიბაზნებო,
ბატის ღუნღულა ჭუკებო,
წამალდაცლილო ფაწნებო,
მუწუქიანო ძუკნებო, —

მშიშარა დორბლიანებო,
ბაჭიებო და კურდღლებო,
ნადარევეშობიარებო,
სახეში შესაფურთხებო, —

ბორჩალოს ქინძის ულორტებო,
ჭარწალებულო ფოთლებო,
„უფლისწულებო“, „ლორდებო“,
და მაინც — ღამის ქოთნებო!..

ხანამ არ გქვიათ ოხლები,
ფსკერთა ფსკერებზე დაეწვით,
თავს არ დაიხსნათ მშობლები! —
პირიქით! — ჩასცხეთ თავებში!..

არ შეაჩეროთ მერანია!..
მჭერა, მიაკვლევეთ მისაკვლევს!
ბოტკინის დროშით ყველანი
წინ — ღვიძლის ცეროზისაკენ!

ვაჟა ქართველიშვილი



აქამ ისე გრძელდება გრანდიოზული, ძვირად ღირებული და, ამასთან, უგემოვნო სასაფლაოების გაკეთება, საფლავების მდიდრულ მონუმტებს მეტწილად ისეთი ოჯახები ახერხებენ რომლებსაც უშრომელი შემოსავალი აქვთ. თანაც, ყველაფერი ეს ხშირად კერძო გარიგებებით, არალეგალური არხებით კეთდება და ცალკეული უსინდისო ადამიანების გამდიდრების წყარო და საშუალებაა.

გაზეთებიდან

ნახ. ჯ. ლოლუასი

მერხიც არის! სკამიც არის!
დაფაც არის! ცარციც არის! —
მოსახვევთან „სკოლა“ გახსნეს, —
შიგ მყავს შვილი საფიცარი!..

სულ რჩეული ბავშვებია, —
ჯგუფში არის ოცდაათი!..
საგანგებოდ უნდა ითქვას:
დაილოცოს მამა მათი! —

ჰყავს ამ სკოლას ხელმძღვანელი, —
როგორც არის, როგორც ხდება! —
ნაპოლეონ მასწავლებელს
არაფერი არ ეშლება!..

აქ არიან გია, ნიკო,
მალხაზი თუ დორეანი! —
ერთი სიტყვით, — ვისაც კლასში
დაუწერა ორიანი!..




აქვს ჟურნალი! — შემოსავალს
იქა წერს და აფარსმანებს!..
თითოეულ მოსწავლისგან
იღებს რაღაც... ათას მანეთს!..

ფულს მშობლები ნაპოლეონს
არასოდეს ამადლიან
და, მიტომაც, ჩიტის რძეც კი, —
რომ იტყვიან, — არ აკლია!..


ოღონდ არ აქვს „სკოლას“ აბრა
არც — დიდი ხნის ისტორია,
რადგან საგნის მასწავლებლად...
ნაპო რ ე პ ე ტ ი თ ო რ ი ა!..

ლევან სულავა
(ქ. ქუთაისი)



„საფლავშიაც. აქაც, იქაც!..“

ნახ. ზ. შირსხალაშვილი




— არ ვიცი, რა შენა?! ამ ლენინაჰს რასაც ვე-
ტყვი, მაშინვე ხურდეს მიგრუნავს!
— ვერ გაგიზრდია შვილი ნოქრად, და ეგ არის!

მინიაჟიურები

— ერასტიჩ, რევიზორი მოდის ჩვენთან!..
— რა უნდა, თუ იცი?!
— რა და, მკედარი სულები გყოლიათო!..
— გამაგიყებს ეს ხალხი! სასაფლაოზე მკედარი სუ-
ლები მეყოლება, აბა, ვინ?!
* * *

— ჩვენს დირექტორს, მგონი, კარგი პირი უჩანს!
— რატომ არ უნდა უჩანდეს კაი პირი?! ნახევარი
წელია, რაც მოვიდა და ნახევარი სასაფლაო შეჭამა
უკვე!..

ალექსანდრე გიორგოზიანი



სამიწინიო ყუღაბა

ქართული ლიტერატურა



მეცნიერება და ხელოვნება

მეცნიერება და ხელოვნება...
მეცნიერება და ხელოვნება...

მეცნიერება და ხელოვნება

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

მოქალაქეებს...
მოქალაქეებს...

ერთი სიტყვა...
ერთი სიტყვა...

ჩვენი სუბარქი უზარმაზარი „ქიკი“

ინფორმაცია

მისი ქვეყანა...
მისი ქვეყანა...

მოქალაქეები...
მოქალაქეები...

რომ იცოდეთ, როგორი გაჯერებულია ყველასა და ყველაფერზე ზუსტად სამეცნიერო მუშაობები და სამეცნიერო არ დაუბნობს თავისი აღმშენებლობა. ვინ არის? არც ვიცი, არ უფიქრებ...

ქალი? ალბათ, გაძარცვეს კიდეც ამ მტყუანში, ჩვენს ქვეყანას ავტობუსები ავლია? გაუშვან ყოველ მარშრუტზე ორმოცდაათი-სამოცი ავტობუსი და მტყუანე არ იქნება. რა? არ შეუძლიათ გასა, მაგრამ...

გამილ ხარგისი

გეროგელი

ისე მჭამდა თვალებით, პასუხი რომ დაემცვიანებინა, ალბათ, ყელში მიეცა მოლა... უნებურად გუთხარა: — 60-60? რა საჭიროა ამდენი — რა საჭიროა? — კიდევ კარგი, ამ დროს ავტობუსი თვალში იჩინება, ჩაყვარდა და კარგა გვარინად შეინჯო...

ეს? გგონიათ არ იციან, ძალიან კარგადაც იციან, მაგრამ... — რა არ იციან, ვინ არ იცის? — თვალში გაოცებისაგან გაუფრთხილდა, ამ გრეს ვის გადავიყვარო. — მანქანა კინაღამ გადაბრუნდა. ორი წელიც ეს ქუჩა ამ დღემდე არავინ ზურაღდება არ აქცეს! — როგორ გეგადრებათ, ორისამი დღის ნინთა ძეღ სახლებში გაზი გაიყვანეს, დღეს თუ ზგულ მუკუდებენ... — ისეც რა უფისრა მგათა წაქა ცოტა ხუთ-ექვს თვის იქნება ეს ორმოც წელიც ამ დროს კონტროლიორი მოკვდავად ჩემთვის თვალს არ მოუშორებია „მუდმივი მაქსი“, — მიუგოდა და საუბრის გაგრძელება სცადა. კონტროლიორმა საბუთის წარდგენა მოთხოვა. — ზედათ, ისეთი კაცსაც არ ენდობოდა როგორც მე ვარ! აბა, იჩენეთ! — დღესანს იქნება ჯობიერ, მაგრამ უნებურად აღმოაჩინა — დასწევლოს ღმერთმა, სახელში დამორჩენი. — ბილეთი ბილეთი, ამხანაგი, სირცხვილია ბილეთის თქმა, თან ჯარშიც გადაიხადებ. — რაო, მე მაქცუარა ვარ? როგორ არ გრცხვინებო — ასე მე მომბრუნდა, — ხედავთ რა ხდება? — აბა, ჩახვიეთ თუ გგონია, ქვიარასაც არ გამოგარბთვე და არც ბილეთს მოგცეს!

— არავის საჭიროდება არც ქვითრის დატოვება და არც ბილეთი... — არ გჭირდებათ კი არა, ვიცით, რა ბიჭებიცა ხართ! — ამხანაგი, ცოტა უფრო კულტურულად მოქცეთ! — ვინ შეგებნა? აბას, სახელმწიფოს ძარცვით, ხალხის შურისაგანს ჯიბეში იხსრიალებით და მე, ბატონო! მშრომელს, ოდნაათი წელია ქვეყანას რომ ვეშაურები, შურისცემისაგანს მუცელში? — კონტროლიორი რომ დაგვმორდა, ამაოდ ეცდილობდა მის დამშვიდებას, ამაოდ დასთან მივხვდით. მაშინვე ვიცინი, ისე უსიამოვნოდ იყვანებოდა ჩაის სმის დროს, რომ არ შეიძლებოდა, არ მეცნო. ჩაი კი მაშინდაც დიდებული იყო, აი, ისეთი, „მამური ჩაისი“ რომ ედებოდა. — ჩინებული ჩაი, — ვთქვი მე. — რაო, ჩინებული? — დიაცხადა უსიამოვნოდ. — თქვე, გეტყვობთ, ნამდვილი ჩაი არასოდეს დაგიღვიათი ვერ ზედავთ, ჩაირის ფერის მისცემდა დაშვარი შაქარი ზარეგია. მასწავლებელიც ყველა, ჯერ ერთი, მის ღაბს შეუღებო! — ესაა ჩინური გრძელი დაწვეფილია. მომინდა სასწიროდ გავუღვლიე მშრომელ კაცს, ოდნაათი წელი რომ ეშხაურებოდა ქვეყანას. მესამედ ბაზარში ვიხვე. ის-ის იყო, საყიდლები მოვიგავე და გასასვლელისკენ

გავეგრძელე, რომ ამ დროს, ზედ ჩემს ყურთან ვიღაცამ ჩაიჭირებოდა. — ბოროტ გინდათ? ახალდაკლული ბატონის ხორცი მაქვს. — შეგერილი. ჩემს წინ ზურგით მგვარმა მამაკაცმა კალთაში გახვითი შეუფუთული ხორცი ამოიღო, ვიღაც ქალს გაუწიდა და ღოზინა. — ნაიღე, ჩემი დო, დღეს დაკლულია ორი კოლა, 15 ანდვ. — ვიცი, თუქვა ახლა ადარ იყვანებოდა ჩემს წინ „მშრომელი კაცი“ იდგა ოდნაათი წელი რომ ეშხაურებოდა ქვეყანას, ო, როგორ მინდოდა მეთქვა. — იქნებ გგონია, არ იციან? იციან, მაგრამ...

ს.გ. ბ. ლიტერატურა






— გათხოვა უნდა თუ...
— გათხოვა უნდა თუ...

ინფორმაცია
მალე აღდგება...
მალე აღდგება...



სსმპრეზა ტიკტორისა

„ნიანგის“ არცთუ ისე იშვიათი სტუმარია ნიჭიერი კინორეჟისორი, გიგანტური სურათის „ფეხბურთი უფეხბურთოდ“ ერთ-ერთი ავტორი ლერი სინარულიძე. და ახლაც (თუმცა კარგა ხნის შესვენების შემდეგ) ფეხბურთის გულშემატკივრებს „მრავალუამიერს“ ასწავლიდა, კვლავ გასწავლა ნიანგი თავისი ნახატებით, თანაც იმდენი მოიტანა, რომ კარებშიც ვერ შეჭოქტა თავისი მახვილგონივრული სერიის — „სსმპრეზა ტიკტორისა“ გმირები. ისე კი, ნიანგს ერთი ნამდვილი სავსე ტიკტორა ერჩივნა.



(გაგრა, სატყეო მეურნეობა)

აქ ტყიდან ისმენ ნიადაგ მოკვეთილ ხეთა ჭრიალს!
ჭრიან ნებართვის გარეშე, ხეებს უწყალოდ ჭრიან!
მარტო ერთ თვეში (ტყის დაცვა აშკარად
მოიკოჭლებს!)
ორმოცდაოთხი კუბური მეტრი მერქანი მოჭრეს!..

შინაური კაცი და გარეული მტრადი
(გუდაუთა, რინის ხევი)

ბრაკონიერ ბასარიას აქვს თოფი და დენთი!..
შინაური კაცი თუა, თქვენ განსაჯეთ ერთი:
ერთ დღეს მოკლა მან ორმოცი გარეული მტრადი!

ფქვავენ!..

(ვანი, სოფელი მუქედი)

— გზა გაგვყავსო! — წისქვილი მოსრეს, ჩააქვავეს!
ახალს აგიშენებთო! — დაპირებებს „ფქვავენ“!..

ხელფასის სახით

(გურჯაანი, კარდანახის მევენახეობის საბჭოთა
მეურნეობა)

მავთულბადეთა გაბმაზე, „გულკეთილობის“ უნარით,
ზედმეტად გასცეს „ხელფასი“ — ათას სამასი თუმანი!

მინერა ანუ გეგმის „შესრულება“

(გურჯაანი, სარაიონთაშორისო საბითუმო
უნივერსალი)

გეგმა „შესრულდა“ ამგვარად (ფანდი ეთვლებათ
მიღწევად?):
ორასი ათას მანეთზე დაავიწმინდეს... მინერა!..

ცერცვივით!..

(წყალტუბო, რკინიგზის სადგური)

აქ ჯდა უფროსად მურთაზი, ინვოდა ხვეჭის
ცეცხლით!
ქრთამზე წაასწრეს! — ცერცვაძე დაიბნა, როგორც
ცერცვი!..

„პორტფელი“

(რუსთავი)

ქორვაჭრის „პორტფელით“ მთელ ქალაქს ურბინა!
დღეს ზის და „ისვენებს“ მარინა რუბინა!

ნახირ-ნახირ

(თბილისი, გლდანის მე-2 კვარტალი)


ნუთში ცხრა ძროხა დავთვალე (ზუსტია ჩემი
საზომი):
აქ ხომ ნახირით სავსეა ბაღი, სკვერი და გაზონი!
სიმწვანეს ქეცი გაუჩნდა, შომზირალს — თვალში
„მაზოლი“.

გაიოზ შავარზაშვილი,
„ნინავის“ კორესპონდენტი.

მართი იქიდან მოდის, მეორე — აქედან.
— ვა!.. კაცურ კაცს, სალმთან ვაჟკაცს სიცოცხლე!
როგორ ხარ?
— არა უშავს რა!
— სახლში როგორა ხართ?! ხომ ყველანი კარგად
არიან?!
— არა უშავს რა!
— გავიგე, სამსახური გამოგიცვლია. ალბათ, ასე
სჯობს, თორემ რატომ იზამდი?! კმაყოფილი ხარ, არა?!
— არა უშავს რა!
— ხედავ, რა გუნდი დააყენა ახალკაცმა?
— არა უშავს რა!
— ფუჰ, რა მურღალი ამინდია!.. არცა თოვს, არცა
წვიმს!..
— არა უშავს რა!
— არადა, რამდენი საქმე მაქვს სადავიდარაბო?!
— არა უშავს რა!
— სიძე როგორი გამოგადგა, კარგი ბიჭია?!
— არა უშავს რა!
— თუ გცალია, წამო აგერ, დუქანში ჩავიდეთ, თითო
ჭიქა მივუჭახუნოთ შეხვედრისა! წყნარი ადგილია!..
— არა უშავს რა!
— თუმცა, მაპატიე, ენა წინ მისწრებს ყოველთვის:
ერთი ჭიქაც რო დავლიო, მერე საქმეს ველარ ავუდივარ
ხოლმე. არადა, ქვეყნის სარბენი მაქვს. ნახე ერთი, რო-
მელი საათია, ჩემი რალაცას მიედ-მოედება!..
— არა უშავს რა!
— აბა, ბედნიერად! დამირეცე, ან გამოიარე! იცოდე,
გამიხარდება!
— არა უშავს რა!
— გისურვებ წარმატებებს! რა კარგია, რომ შემხვდი!
— არა უშავს რა!
— ?!
— არა უშავს რა!.. არა უშავს რა!.. არა უშავს რა!..
ქუჩაში საქმიანად მიმოდიოდა მიღეთის ხალხი.

გ. ლ. აღიაბორი.

ნახ. შ. აბაშიძისა



— ნამდვილად გაგვიმართლა ამ საწყობის და-
რჯავა, ძილი ჰყვარებია!..

საჩივრის წიგნი

რესტორანში კლიენტმა მიმტანი იხმო და საჩივრის წიგნი მოსთხოვა. აღელვებული დირექტორი მიმტანს შეეკითხა:

- რა ჩანერა?
- არაფერი!
- აბა, საჩივრის წიგნი რად უნდოდა?
- კატლეტი მიაკრა ზედ!

სამაგიერო

ლუი არმსტრონგი გასტროლებზე იყო კოპენჰაგენში. კონცერტის შემდეგ მას გააცნეს ნობელის პრემიის ლაურეატი, ცნობილი ფიზიკოსი ნილს ბორი. არმსტრონგმა ბორს აუხსნა, თუ როგორ უნდა საყვირზე დაკვრა. თავის მხრივ, ბორმა არმსტრონგს ატომური ბირთვის გახლეჩის რამდენიმე მეთოდი გააცნო.

— ჩვენ შესანიშნავად გავატარეთ დრო, — მოუყვა არმსტრონგი მოგვიანებით ჟურნალისტებს, — იგი ახლა ისევე ერკვევა ჯაზურ მუსიკაში, როგორც მე — ფიზიკაში.

ბანსხვაება

— მოწვევ, თქვენ ამტკიცებთ, რომ დაინახეთ, როგორ ესროლა თავის მსხვერპლს ბრალდებულმა სამჯურ! რა მანძილზე იმყოფებოდით თავდასხმის ადგილიდან?

- პირველი გასროლა გაქვთ მხედველობაში, თუ მესამე?
- რა განსხვავებაა?
- საკმაოდ დიდი... თითქმის ნახევარი კილომეტრი!

კრიტიკა

ახალგაზრდა მსახიობმა კოლეგას შესჩივლა:

- ნაიკითხე, როგორ გამაბიჯებოდა ისკრინსკიამ ახალ როლში?
- ნუ მიაქცევ ყურადღებას! ის თუთიყუშისებრ და სულ იმას იმეორებს, რასაც სხვები ამბობენ.

ვოლტარის რეცენზია

ერთმა ახალგაზრდა დრამატურგმა ვოლტერს საკუთარი პიესა წაუკითხა და მოლოდინად იქცა.

— აი, რა უნდა გითხრათ, ახალგაზრდა, — წარმოთქვა ვოლტერმა დიდი ხნის დუმილის შემდეგ, — მსგავსი პიესების წერა მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ, როცა ძალზე პოპულარული გახდებით! მანამდე კი უფრო ნიჭიერად წერა გმართებთ!

საოცრება

საოცარი რამაა ეს თეატრი: ავტორი ერთ პიესას წერს, მსახიობები მეორეს თამაშობენ, მაყურებლები რაღაც მესამეს ხედავენ, კრიტიკა კი მეოთხეზე მსჯელობს!..

მოუს პასუხი

ლონდონში წარმატებით დადგმული თავისი პირველი პიესით ფრთაშესხმულმა ახალგაზრდა დრამატურგმა თეატრს მეორე პიესა წარუდგინა. პიესა დაიდგა, მაგრამ მაყურებელი მას ძალზე ცივად შეხვდა.

ალშფოთებულმა დრამატურგმა ბერნარდ შოუს მისწერა:

„თქვენი თეატრალური მაყურებელი ელემენტარულ გემოვნებას მოკლებული უმეცრესი ადამიანია“.

შოუს უპასუხა:

„საფუძვლით გეთანხმებით. მე ეს თქვენი პირველი პიესის პრემიერაზე შევამჩნიე“.

ჯოჯოხეთი თუ სამოთხე

ერთხელ ჩაპლინს ჰკითხეს:

- სიკვდილის შემდეგ სად ისურვებდით მოხედრას — ჯოჯოხეთში თუ სამოთხეში?
- ამაზე ძნელია ერთბაშად პასუხის გაცემა, — თქვა დიდმა მსახიობმა, — კლიმატური პირობების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უპირატესობა სამოთხეს ეკუთვნის, მაგრამ, თუ კარგ საზოგადოებაში ყოფნა გვსურს, მაშინ ჯოჯოხეთს ვამჯობინებდი!..

საჩივრის წიგნი

ლოცვა უნებურად

გამის კაპიტანმა მგზავრებს მიმართა:

- ლოცვა ვის გეხერხება?
- მე! — თქვა მგზავრთა შორის მყოფმა მღვდელმა.
- მაშინ ილოცეთ! დანარჩენებმა კი მაშველი სარტყელი გაიკეთეთ! სწორედ ერთი ცალი სარტყელი გვაკლია!

გიონისი

ჯომ სიბერეში ლექსების წერა დაიწყო და მათ სხვადასხვა რედაქციებს უგზავნიდა.

— როგორაა საქმე? — ჰკითხა მეგობარმა ჯოს ცოლს, — თქვენი შემოსავალი გაიზარდა?

— აბა, როგორ! ამას წინათ ჯომ ერთ-ერთ რედაქციას რვა ლექსი გაუგზავნა, იქიდან კი ცხრა დაუბრუნეს!

ხვრინვის საწინააღმდეგო საშუალება

- რას უჩივით?
- ძილში ისე მაგრად ვხვრინავ, რომ საკუთარ ხვრინვებზე მეღვიძება და მთელ ღამეს თუთარად ვათენებ! რას მიჩრევთ?
- დაიძინეთ მეორე ოთახში!

თარგმან ბეჰან ასათიანმა

... ამ ჯურის ადამიანებსა და მათს საქმიანობას რ. რეიგანი მხარს უჭერს ერთი უბრალო მიზეზის გამო: იგი პირნაყარდნული ანტიკომუნისტი და ვერ მოუწლებია, რომ სოციალისტური სახელმწიფოების თანამეგობრობა მშვიდობიან და თანამშრომლობის პოლიტიკას ადგას.

ნახ. გ. ლომიძისა



ანტისოციალისტური აკომპანეიმენტი



სატირისა და იუმორის
ჟურნალი „საჩივრის წიგნი“
№ 17 (1627) სემბრემბერი
ბათუმის 1923 წ. ივნისიდან

მთავარი რედაქტორი
ჯ. ა. ბ. ლ. მ. მ. მ.

საკრედიტო

კოლეგია:

ბაბუა ამირხანი,

ნოზარი ბარბაქაძე,

ზორის ზურაბული,

ნოდარ ლუმაბაძე,

რამაზ თვაჩაძე,

ჯემალ ლოლუა,

ნოდარ მაღალაშვილი

(მხატვარი-რედაქტორი),

ალექსანდრე სამსონი,

ბეჰან ასათიანი

(პასუხისმგებელი მდივანი),

გიგლა ფირცხალაშვილი,

ჯანსუღ ჩარკვიანი,

თამაზ წიგნაშვილი,

ვაჟა ზანდუკი

(მთავარი რედ. მოადგილე),

ნაზი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი

მიხეილ კახალაშვილი

გადამცემი

19. 07. 82 წ.

ხელმოწერა დასაბამად

10. 09. 82 წ.

ქალაქის ზომა 70x100

ფიზიკური ნაბამი

ფურცელი 1

საღარიბი-საღარიბი

თაბახი 1,7

საქართველოს კ. ც. -ის

გამომცემლობა

ლენინის ქ. №14,

შეკვეთა № 1783. უფ. 05708.

ტირაჟი 145.000.

ურნალი გამოდის

თვეში ორჯერ.

რედაქციაში შემოსული

მასალები ავტორებს

არ უბრუნდება.

ჩვენი მისამართი:

380008, თბილისი-8, რუსთაველის

პროსპექტი, № 42.

ბელეფონები: მთავარი

რედაქტორის — 99-55-54, მთ.

რედ. მოადგილის — 93-19-42.

პ/მ მდივნის — 93-10-78, მხა-

ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,

განყოფილებათა გამგებების —

93-49-32, რედაქტორ-ლიტერატურ-

ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-

ჯანის — 99-76-69.

სატირიკო-იუმორისტული

ჟურნალი «Н И А Н Г И»

(на грузинском языке)

Тбилиси, пр. Руставели № 42.

Издательство ЦК КП Грузии

Типография Издательства ЦК

КП Грузии, Тбилиси, улица

Ленина № 14.

ფასი 20 კაპიტი

ინდექსი 76137